სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	**სწავლების მეთოდები** Teaching Methods
ავტორი	
ლექტორი (ლექტორები)	გაგა გაბრიჩიძე, ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი, ასისტენტ-პროფესორი დავით კერესელიძე, სრული პროფესორი ირაკლი კობახიძე, ასისტენტ-პროფესორი გურამ ნაჭყებია, სრული პროფესორი ლადო ჭანტურია, სრული პროფესორი პაატა ტურავა, ასოცირებული პროფესორი
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	*კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად.*
სასწავლო კურსის სტატუსი	იურიდიული ფაკულტეტი სამართლის სადოქტორო პროგრამა სავალდებულო
სასწავლო კურსის მიზნები	კურსის მიზანია სწავლების მეთოდების სწავლება და დოქტორანტის მომზადება დამოუკიდებლად სწავლებისათვის. იგი ეცნობა სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს. დოქტორანტი ეცნობა სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებულ სწავლების მეთოდების, როგორიცაა გერმანული და ამერიკული კაზუსის განხილვის, ფრანგული სისტემური ანალიზის და ამერიკული „სოკრატეს მეთოდის“ თავისებურებებს, სწავლობს მათ სალექციო პროცესში ინტეგრირებას. საგნის მიზანია დოქტორანტებს მიაწოდოს ინფორმაცია კანონთა კომენტირების აუცილებლობის, მიზნებისა და მეთოდების შესახებ. კანონთა კომენტირება, როგორც სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავების მნიშვნელოვანი ნაწილია. დოქტორანტები უნდა იცნობდნენ ამ

	სფეროში მოქმედ სტანდარტებსა და წესებს. ლექციები სტუდენტებს საშუალებას მისცემს: - გაეცნონ სწავლების მეთოდებს, მათი გამოყენების ვარიანტებს და შედეგებს; - გაეცნონ სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს; - შეისწავლოს პრეზენტაციის მეთოდები და საშუალებები; - დისკუსიის ფორმატში განიხილონ სასწავლო ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები და მოძებნონ მათი გადაჭრის გზები.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	**15 კრედიტი** ლექცია 120 საათი, დამოუკიდებელი მუშაობა: სასწავლო კომპონენტების თვისება და დამოუკიდებლად შესრულებული კვლევითი ნაშრომების მომზადება – 248 საათი; მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი ცნების სისტემური ანალიზი (40 საათი), კვლევის სფეროსთან დაკავშირებული კაზუსისა და მისი ამოხსნის სქემის შემუშავება (40 საათი) და პრეზენტაცია (40 საათი). შუალედური გამოცდა – 4 საათი; დასკვნითი გამოცდის ჩაბარება – 3 საათი.
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	არ არსებობს
სწავლის შედეგები	დოქტორანტი აითვისებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. შეძლებს სხადასხვა მეთოდის უპირატესობების ანალიზსა და მათ სალექციო პროცესში გამოყენებას. დოქტორანტს უნვითარდება ინტერაქტიული კომუნიკაციის უნარი, რომელიც სალექციო პროცესის სტუდენტზე ორიენტირებულ წარმართვას ითვალისწინებს. იგი ისწავლის სხვადასხვა მეთოდის სინთეზის გზით ცოდნის ადეკვატურად გადაცემას. **ცოდნა და გაცნობიერება** ლექციების დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ ცოდნა სწავლების სხვადასხვა მეთოდების შესახებ, მათი გამოყენების ფორმებისა და შედეგების შესახებ; **სწავლის უნარი** სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ უნარი ჩამოაყალიბონ და

	დაგეგმონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესი; **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ უნარი სალექციო ღონისძიების ფარგლებში წამოჭრილ პრობლემებზე ადექვატური რეაგირებისა. *ზოგადი უნარი:* • მსჯელობისა და სწორ დასკვნამდე ერთობლივად მისვლის უნარი; • საგანში დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი. • საკუთარი ცოდნის პრეზენტაციის უნარი
სასწავლო კურსის ფორმატი	სწავლების მეთოდების შესწავლა ხორციელდება ინტერაქტიული ლექციის ფორმატის გამოყენებით.
სასწავლო კურსის შინაარსი	*(იხ. დანართი 1).*
სწავლების/ სწავლის მეთოდები	ცოდნის შეფასების კომპონენტები ისეა შერჩეული, რომ სტუდენტი, მისი კვლევის სფეროდან გამომდინარე (რაშიც ის ყველაზე ღრმად არის განსწავლული), შეიმუშავებს ცოდნის გადაცემის ინტერაქტიულ ალტერნატივებს. სისტემური ანალიზის მეთოდის სწავლება მიმდინარეობს სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის სფეროსთან დაკავშირებული ცალკეული სამართლის ცნებებისა და ინსტიტუტების ერთიან სისტემად აღქმას და, ამავე დროს, ამ მეთოდის პრაქტიკულად განხორციელების საფუძველზე ათვისებას. კაზუსის განხილვის მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დასკვნის უნარების გამომუშავების სწავლებას. ამ შემთხვევაშიც დოქტორანტი ამ მეთოდის პრაქტიკულად განხორციელების საფუძველზე სწავლობს მის გამოყენებას და, შესაბამისად, აყალიბებს სტრატეგიას სტუდენტთათვის მნიშვნელოვანი (სამართლებრივად არსებითი) გარემოებების უმნიშვნელოსაგან გამიჯვნის, თანმიმდევრული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ფორმირების სწავლებისათვის.
შეფასების	შეფასების კომპონენტებია:

კრიტერიუმები	• სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი ცნების სისტემური ანალიზი (30 ქულა, 30 %), • კვლევის სფეროსთან დაკავშირებული კაზუსისა და მისი ამოხსნის სქემის შემუშავება (30 ქულა, 30 %) და • პრეზენტაცია (40 ქულა, 40 %).
სავალდებულო ლიტერატურა	იხ. დანართებში
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	იხ. დანართებში

სასწავლო კურსის შინაარსი:

დანართი 1

დავით კერესელიძე

1-2 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. სწავლების ინტერაქტიული მეთოდების უპირატესობა. პირველი სალექციო დღიდან განხორციელებული სწავლების მენეჯმენტი – სტუდენტის მიერ სწავლის პროცესის მართვის კონცეფცია. შეფასება, როგორც სწავლების სტრატეგია. სწავლების პროცესის წარმართვაში სილაბუსის ძირითად ბერკეტად გამოყენება.

დავით კერესელიძე, სწავლების მეთოდების მიმოხილვა, თავი I – შესავალი (1)

3-4 სწავლების მეთოდების მიმოხილვა

გერმანული და ამერიკული კაზუსის განხილვის, ფრანგული სისტემური ანალიზისა და ამერიკული „სოკრატეს მეთოდის“ თავისებურებები. სხვადასხვა მეთოდის კომბინირების უპირატესობები.

დავით კერესელიძე, სწავლების მეთოდების მიმოხილვა, თავი I – შესავალი (2)

4-5 სისტემური ანალიზის მეთოდი

ცნებათა სისტემის ფორმირება, როგორც სისტემური სწავლების ბერკეტი. ურთიერთკავშირების გამოკვეთა. ვიზუალიზაციის უპირატესობები.

დავით კერესელიძე, სწავლების მეთოდების მიმოხილვა, თავი II (1)

5-6 სისტემური ანალიზის მეთოდის პრაქტიკული გამოყენება

სისტემის ფორმირებაში სტუდენტის ჩართულობის სწავლება. შედეგზე ორიენტირებული ინტერაქტიული ლექციის წარმართვა - „მოქმედებაში სწავლა“.

დავით კერესელიძე, სწავლების მეთოდების მიმოხილვა, თავი II (2)

7-8 კაზუსის განხილვის მეთოდი

კაზუსის განხილვის მეთოდი კერძო სამართალში: კაზუსის განხილვის ზოგადი სქემა და ეტაპები.
ფორმულა – ვინ, ვისგან, რას, საიდან?
მოთხოვნის საფუძლების მიმოხილვა და მათი დამხმარე ნორმებისგან გამიჯვნა.
შესრულების მოთხოვნის მაგალითზე მოთხოვნის წარმოშობის, არსებობის („გაუქარწყლებლობის“) და განხორციელების ანალიზი.

დავით კერესელიძე, სწავლების მეთოდების მიმოხილვა, თავი III

9-10 კაზუსის მოდელირებული განხილვა

კაზუსი „ბათუმელი გიორგი“, კაზუსის შემუშავებისას გამოსაყენებელი სტრატეგია მისი ამოხსნის სქემის განხილვა.

დავით კერესელიძე, სწავლების მეთოდების მიმოხილვა, დანართი

ძირითადი ლიტერატურა

დავით კერესელიძე,
სწავლების მეთოდების მიმოხილვა (არ არის გამოქვეყნებული – სტუდენტებს, მათივე არჩევანის შესაბამისად, გადაეცემათ ელექტრონული ან ბეჭდვითი ფორმით)

დამატებითი ლიტერატურა

Bloom Benjamin S. and David R. Krathwohl. Taxonomy of Educational Objectives: The Classification of Educational Goals, by a committee of college and university examiners. Handbook I: Cognitive Domain. New York, Longmans, Green, 1956;

Gordon, Robert W., "Critical Legal Studies as a Teaching Method" (1989). Faculty Scholarship Series. Paper 1358. (http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/1358);

Linda L. Berger, Studying and Teaching, Law as Rhetoric: Place to stand, (http://www.journallegalwritinginstitute.org/archives/2010/3.pdf);

Elizabeth Mertz, *The Language of Law School: Learning to "Think Like a Lawyer"* 22 (Oxford U. Press 2007);

William M. Sullivan & Matthew S. Rosin, *A New Agenda for Higher Education: Shaping a Life of the Mind for Practice* 118 (Jossey-Bass 2008).

დამატებითი ინფორმაცია:

http://www.mhhe.com/socscience/education/methods/resources.html

დანართი 2
გაგა გაბრიჩიძე

ლექციების შინაარსი

ლექციების განმავლობაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- რა არის სწავლება
- ლექტორის როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში
- სწავლების მეთოდები
- სასწავლო ღონისძიების დაგეგმვა
    - სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო ღონისძიების დაგეგმვა
        - ჩარჩოს განსაზღვრა
        - მიზნების განსაზღვრა
        - სწავლის წინაპირობის დადგენა
        - სწავლების მიზნების განსაზღვრა
        - გამოკითხვის მეთოდის დადგენა
        - სასწავლო მეთოდების განსაზღვრა
        - კურსის შინაარსის განსაზღვრა
- სასწავლო ღონისძიების განხორციელება
    - კომუნიკაცია
        - კომუნიკაციის ელემენტები
    - სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება
    - პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

დანართი 3

ირაკლი კობახიძე

ს ა ს წ ა ვ ლ ო კ ურ ს ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი	
სალექციო თემები	**ძირითადი სასწავლო მასალა**
კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის თავისებურებები კონსტიტუციურ სამართალში კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროში კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციური სამართლის სფეროში	ირაკლი კობახიძე, ძირითადი უფლებები: კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები, ძირითადი უფლებების დაცვის ინსტიტუციური გარანტიები საქართველოში, თბილისი, 2010; რიდერები კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის შესახებ კონსტიტუციური სამართლის სფეროში (რიდერები სტუდენტებს დაეგზავნება ელექტრონული ფოსტის საშუალებით).

ძირითადი ლიტერატურა	ირაკლი კობახიძე, ძირითადი უფლებები: კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები, ძირითადი უფლებების დაცვის ინსტიტუციური გარანტიები საქართველოში, თბილისი, 2010; სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით დაეგზავნებათ ე.წ. რიდერები კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის შესასწავლად კონსტიტუციური სამართლის სფეროში.
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	Christoph Degenhart, Klausurenkurs im Staatsrecht I, 5. Aufl., Heidelberg, 2010; Christoph Degenhart, Klausurenkurs im Staatsrecht II, Heidelberg, 2009; Christoph Degenhart, Staatsrecht I: Staatsorganisationsrecht, 18. neu bearb. Aufl., Heidelberg, 2002; Christian Hillgruber, Christoph Goos, Verfassungsprozessrecht, Heidelberg, 2004; Bodo Pieroth (Hrsg.), Hausarbeit im Staatsrecht, Tübingen, 2008; ***შენიშვნა:*** *დაინტერესების შემთხვევაში, სტუდენტებს მიეთითებათ სხვა დამატებითი ლიტერატურა და სასწავლო მასალა ცალკეულ თემის სიღრმისეულად შესასწავლად და გასაანალიზებლად.*

დანართი 4
გიორგი თუმანიშვილი

-

N	**თემა (ლექცია/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.)**	**სასწავლო მასალა**
1	კაზუსის დასკვნის სტილი და განაჩენის სტილი, კაზუსის ამოხსნის მეთოდების აღწერა, სუბსუმცია, იურიდიული არგუმენტაციის საფუძვლები, იურიდიული ახსნა-განმარტების მეთოდები, იურიდიული არგუმენტაციის ტიპები, დანაშაულთა კონკურენციის საკითხის გადაწყვეტის გზები.	ტურავა მ., სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი 2010 წ., გვ. 306-332; ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ყოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი 2010 წ., გვ.

		457-560; გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა. თბილისი 2005 წ., გვ. 24-54.

-

დანართი 5
გურამ ნაჭყებია

ლექციების შინაარსი:

ლექციების მსვლელობაში უნდა გაირკვეს პრობლემის ძირითადი საკითხები, კერძოდ, რას ნიშნავს სწავლება, ვინ არის სწავლების ობიექტი და რა ხერხით სჯობს ადრესატთან სათანადო ცოდნის მიტანა; და რა შედეგზეა იგი გათვლილი; როგორია სწავლებაში ლექტორის როლი და როგორია თვითონ ეს ლექტორი (სათანადო ცოდნა-გამოცდილების გარდა, როგორ ახერხებს იგი მეცნიერული კვლევისა და პედაგოგიური საქმიანობის შეხამებას; გეგმავს თუ არა იგი ლექციებს, ემზადება თუ არა იგი ლექციებისთვის, თუ, პირიქით, არ ემზადება და ლექციებზე შექმნილი სიტუაციის იმედზეა? ინიშნავს თუ არა იგი შემთხვევებს, როცა, ლექციების კითხვისას, მოულოდნელად ეწვევა ხოლმე აზრი, რომელიც მეტად საინტერესო გამოდგა?

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვა:

- ჩარჩოს, ანუ, ფარგლების განსაზღვრა;
- სწავლების მიზნების დადგენა;
- სწავლების წინაპირობის განსაზღვრა, ესე იგი, რა ცოდნას უნდა ფლობდნენ დოქტორანტები, რომ სწავლების პრობლემატიკის საკითხები სათანადოდ აითვისონ.
- რა მიზანი უნდა ჰქონდეს სწავლებას?
- რა მეთოდებით მოხდება სწავლება? (მაგალითად, დისკუსიის, პრობლემის დასმის, ლექციის ბოლოს შერჩევითი გამოკითხვის ჩატარებით, რათა გავიგოთ, ვინ და როგორ აითვისა სალექციო მასალა; გამოკითხვის შედეგების მიხედვით განსაკუთრებით წარმატებული მსმენელის წახალისებით და სხვა); სწავლებაში ზეპირი და წერილობითი კომპონენტების შეხამება; წერის კულტურაზე

ყურადღების გამახვილება, სამეცნიერო ნაშრომის კომპონენტებზე მოკლე საუბარი.

- სათანადო კომუნიკაციები;
- სწავლების ხარვეზების შემჩნევა და მისი დაძლევის გზების ძიება;
- მეცნიერული კვლევის მეთოდებისა და სწავლების მეთოდების ერთიანობის დემონსტრაცია მეცნიერული ფაქტებისა და სწავლებაში მათი სათანადო გამოყენების უგულებელყოფით, როცა ასწალიან ყავლგასულ, მეცნიერულად მცდარ, თეორიებს; ახალი მეცნიერული ფაქტების მოხმობა და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივების წარმოჩენა.

დანართი 6

საგნის პროგრამა **ლადო ჭანტურია**

1. კანონთა კომენტირების აუცილებლობა: კანონის ხარვეზი, კანონის ბუნდოვანი ადგილები და მათი განმარტების წინაპირობები
2. კანონთა კომენტირება როგორც სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა
3. კომენტარების შინაარსი:
    a. სასამართლო პრაქტიკა,
    b. მეცნიერთა შეხედულებები,
    c. ამ შეხედულებათა მიმოხილვა და სამართლებრივ პრაქტიკასთან მათი მიმართების ანალიზი
4. კომენტატორთა შეხედულებები~
    a. მიმართება კანონის ტექსტთან
    b. მიმართება სასამართლო პრაქტიკასთან
    c. საკუთარი შეხედულების არგუმენტები
5. კომენტარების სისტემა: კოდექსის, კანონის ყოველი მუხლი, ყოველი ნაწილი და საკვანძო დებულებები, ტერმინები უნდა იყოს განმარტების საგანი. ტექსტში ისინი გამოყოფილი უნდა იყოს მუქი შრიფტით
6. კომენტირების სტრუქტურა:
    a. ნორმის საგანი და მიზანი
    b. მაგალითი, რომელიც აჩვენებს ამ ნორმის პრაქტიკულ გამოყენებას
    c. ნორმის ან სამართლის ინსტიტუტის მიერ პრაქტიკაში შესრულებული ფუნქცია
    d. ნორმის გამოყენების შემთხვევები პრაქტიკიდან
    e. ძირითადი, საკვანძო დებულებების განმარტებები
    f. ნორმის გამოყენების წინაპირობები
    g. ნორმის დარღვევის სამართლებრივი შედეგები

7. გამოყენებული ლიტერატურა
    a. ციტირების წესი
    b. სასამართლო პრაქტიკის ციტირების წესი

ლიტერატურა

1. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 1997 წ.
2. Комментарий к Гражданскому кодексу Республики Казахстан и его значение для развития права. В кн: Гражданский кодекс Республики Казахстан (Общая часть). Комментарий (постатейный) в двух книгах под ред. Проф. М.К. Сулейменова. Алматы. 2007. Кн. 1. С. 4-11. (В соавторстве с Рольфом Книпер).

დანართი 7
პაატა ტურავა

კაზუსის ამოხსნის მეთოდი ადმინისტრაციულ სამართალში

-

N	თემა	სასწავლო მასალა
1	სასამართლო გადაწყვეტილების და სამართლებრივი დასკვნის სტილის გამიჯვნა	. **ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო** *მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა(რედ.),* თბილისი 2008
2	კაზუსის ამოხსნის მეთოდის ძირითადი ელემენტები	
3	სუბსუმცია	
4	იურიდიული არგუმენტაცია	
5	ნორმის ინტერპრეტაცია	
6	მეთოდის თავისებურებები ადმინისტრაციულ სამართალში	**ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო** *პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე,* თბილისი 2005 წ.
7	სტანდარტული სქემები ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციული სამართლის პროცესში	
8	დავალება: შერჩეული კაზუსების ამოხსნა	

-

პრეზენტაციის მეთოდები

	თემა	
1	პრეზენტაციის მეთოდები	ელექტრონული მასალები
2.	თემის შერჩევა	
3.	აუდიტორიის შეფასება	
4.	პრეზენტაციის სტრუქტურა	
5	აუდიო ვიზუალური საშუალებები	
6.	ძირითადი მოთხოვნები	
7.	თემის შერჩევა და ჯგუფის წინაშე პრეზენტაცია	